

ციცინო ბასოკიძე
მისეილ ბაზუნია

ქრიმინოლოგია

(მეორე ნაწილი)

თბილისი, 2017
გამომცემლობა „იურისტების საფარო“



პროგრესული მეცნიერება ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან სრულ ჰარმონიაშია

წმინდა ნიკოლოზ სერბი (ველიმროვიჩი)

რედაქტორები:

სამართლისა და პოლიტიკის
დოქტორი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სამართლის დოქტორი,
პროფესორი

ირაკლი გაბისონია

რეცენზენტები:

სამართლის დოქტორი,
პროფესორი

მიხეილ მამნიაშვილი

სამართლის დოქტორი,
პროფესორი

გიორგი თოდრია

სამართლის დოქტორი,
პროფესორი

მალხაზ ლომსაძე

სამართლის დოქტორი,
პროფესორი

ჯემალ გაბელია

წიგნი მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის კანონმდებლობის კვლევისა და კრიმინოლოგიის ლაბორატორიაში

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაერი ფორმით და საშვალეებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საავტორო უფლების მქონე სუბიექტის ნერილობითი ნებართვის გარეშე.

კორექტორი **ანი იმნაძე**



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

ISBN 978-9941-9476-6-7

სარჩევი

| | |
|--|----|
| კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართალსა და | |
| სამართლიანობაზე | 4 |
| დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგია | 14 |
| ალკოჰოლიზმის კრიმინოლოგია | 22 |
| კრიმინოლოგია და აზარტული თამაშები | 35 |
| კრიმინოლოგია და სუიციდი | 44 |
| ნარკოპრევენცია და სისხლის სამართლის პოლიტიკა | |
| საქართველოში | 53 |
| ლიტერატურა | 64 |

წიგნი ეძღვნება საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს შოთა ფაფიაშვილის
80 წლის იუბილეს.

კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართალსა და სამართლიანობაზე

ძველი ბერძნები ამბობდნენ, რომ სამართლიანობა სახელმწიფოს ზნეობრივი წესრიგია, ხოლო სამართლიანი სამართალი ღვთიური წესრიგი. სამართლიანობა არის ყველა საქმის სათავე, პირველსაწყისი, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებანი, ხოლო სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი იმდენჯერ შეცვლილა, რამდენი სოციალური წყობა, სახელმწიფო მმართველობის ფორმა და ხელისუფლებაც ყოფილა.

ცნობილია, რომ იდეურად მეოცე საუკუნე „უმაღლესი ჰუმანიზმის“ საუკუნეა, რაშიც უდიდესი როლი სამართლის მეცნიერების განვითარებამ შეასრულა. სინამდვილეში კი „სრულყოფილების“ ეს მწვერვალი, ჩადენილი დანაშაულობებით, აღემატება კაცობრიობის ყველა წინა საუკუნეს ერთად აღებულს. დიდი პარადოქსია, რომ სამართლის განვითარებასთან ერთად, კაცობრიობა სულ უფრო და უფრო შორდება სამართლის იმ ძირითად იდეას, რომლისკენაც თავდაპირველად იყო მიმართული მთელი მისი ძალისხმევა და ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე სამართალი მაქსიმალურად არ დაუახლოვდება სამართლიანობის პრინციპებს.

კრიმინოლოგიური აზროვნების მნიშვნელოვან კატეგორიას სამართალსა და სამართლიანობაზე არსებული მეცნიერული შეხედულებანი წარმოადგენს. ამ ცნებათა სახელდების პროცესზე დიდი გავლენა უნდა მოახდინოს კრიმინოლოგიის მეცნიერებამ. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, სამართალი და სამართლიანობა აზრობრივად ერთ დატვირთვას ატარებს, ხოლო სამართლიანობას უნდა ემყარებოდეს სამართალი, ვინაიდან წარსულში ის სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა. საკითხის სირთულეს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ამ ცნებათა შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს მეცნიერების სხვადასხვა დარგებში - თეოლოგიაში, იურისპრუდენციაში, ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში და ფსიქოლოგიაში. კრიმინოლოგიაში აღიარებული შეხედულება, რომ ყველა ადამიანის ბუნება, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, მიდრეკილია დანაშაულის ჩასადენად,